„ივერია“ № 26, 1887 წ.
ტფილისი

№ 26 თებერვალი 5, ხუთშაბათი 1887 თებერვალი 5, ხუთშაბათი № 26

გაზეთი ღირს

თთვე	მან. კ.	თთვე	მან. კ.
12	10 —	6	6 —
11	9 50	5	5 50
10	8 75	4	4 75
9	8 —	3	3 50
8	7 25	2	2 75
7	6 50	1	1 50

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, ახალ-ბებუთოვის ქუჩაზედ, სახლი № 9, ბ. ხიდდეკელის სავაზეთოს, გოლოვინის პროსპექტი, ცენტრალურსა და გრიქუროვის წიგნების მაღაზიებს.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

ივერია

1877—1887 წელიწადი

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

1877—1887 წელიწადი

გაზეთი „ივერიას“ პირველის თებერვლიდამ წლის დამლევამდე ღირს 9 მ. 50 კ.

ტფილისი, 4 თებერვალი

ის გაჭირებული მდგომარეობა, რომელმაც ამ რამდენისამე ხნის წინად შეაფიქრა მშვიდობის მოყვარენი ევროპაში, ზოგიერთის სიტყვით, ეხლა საკმაოდ განელდა და მშვიდობიანობისაკენ მიიდრიკაო. ზოგნი კიდევ მაინც იძახიან, რომ განსაცდელის ღრუბელი ჯერ არ გადეყრია საპოლიტიკო ცასაო და განსაცდელი მაინც-და-მაინც მოსალოდნელიაო. მშვიდობიანობის მსურველნი და მოყვარენი იძახიან, რომ სულ ტყუილი ფართი-ფურთი იყოვო, რასაც აქამდე ან ერთი ან მეორე მხარე ქადულობდა. ბისმარკს შინ საქმე გაუჭირდაო და იძულებულ შეიქმნა შიშის ზარით ემოქმედნა თავისის სიტყვის და სურვილის გასაყვანად გერმანიაში, რომელიც მის მიერ მოწვეულია ახალის რეიხსტაგის დეპუტატთა არჩევანისათვისაო და თუ ამ შიშმა ეს სამსახური გაუწია ბისმარკსა, მერე ყოველისფერი დალაგდება და დაწყნარდებაო...

ომიო, იძახიან სხვანი, მარტო მაშინ ასტყდებაო, თუ ბისმარკი მოიწადინებსო და ამასთანაც უმატებენ, რომ ბისმარკი საქვეყნოდ ამბობსო, ომი სულაც არ უნდა გერმანიას და გერმანია პირველი არ ამოიღებს ხმალს ქარქაშიდამ, თუ ზედ არ მოესევა ვინმე და მაშინ მეტი რა გზაა, მტრის მოსაგერებლად მზად უნდა ვიყვნეთო. ამ სახით სჩანს, ვითომ გერმანიის მხრით მოსალოდნელი არ არის რაიმე უეცარი განსაცდელი. იქით საფრანგეთი თავის ბედის გამგებელთა კაცთა პირით დღე მუდამ არწმუნებს ქვეყანასა, რომ მშვიდობიანობის მსურველია და არავითარი შიში არ მოელის ამ მშვიდობიანობასაო. ეხლახან საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრს ფლურანსს გამოუცხადებია, რომ ჩვენის ელჩებისაგან მიღებულმა ამბებმა სრულიად გადაგვიყარეს ყოველივე შიში მშვიდობიანობის დარღვევისაო. ბოლგარიის საქმეა და ამაზედაც ამბობენ, რომ იმედია აქაც ევროპა სამშვიდობო გზაზედა სდგასო, იმედია, არც ეს საქმე ჩააგდებს ევროპას განსაცდელშიო და ყველაფერი ყოველთა სასურველად გათავდებაო. ავსტრიამაც, თუმცა დელეგატებიც მოიწვია, რომ ჯარისათვის 25 მილლიონი გამოსთხოვოს და გარდა ამისა მომეტებულის დახარჯვის ნებაცა, თუ ვინიცობაა საქმეთა ვითარება და საჭიროება მოითხოვს, მაგრამ იგი ავსტრიაც კი არწმუნებს ქვეყანას, რომ შიში არაფრისააო და თუ ჩვენ ვემზადებით მარტო იმისათვის, რომ ყოველ შემთხვევისათვის მზად ვიყვნეთო. ერთის სიტყვით, საიდაც კი მიიხედავთ, ყველანი ამას იძახიან, რომ მშვიდობის წყურვილია ჩვენი წყურვილი და სახელმწიფოს გამგებელნი კაცნი რაც ძალი და ღონე აქვთ იძახიან, საშიშარს ხმებს არავითარი საბუთი არა აქვს და სულ ყველაფერი მოგონილი ამბავია მარტო იმისათვის, რომ ბირჟას ელდა სცენ და ხარბმა კაცებმა-ბირჟაზედ მოთამაშეებმა, ამ არევ-დარევაში ხელი მოითბონო.

რასაკვირველია, ეს შიშის ხმები ჟურნალ-გაზეთობამ მოჰფინა ქვეყანაზედ და არც ის არის საკვირველი, რომ მთელი ოფიციალური ევროპა ეგრე გულ-მოდგინედ უარჰყოფს იმ ხმებსა და ქვეყანას ამშვიდებს, არაფრის შიშიაო. აქ ერთი მოსწრებული სიტყვა ბისმარკისა გვაგონდება. ჟურნალ-გაზეთობის მიერ მოფენილს ხმას ნუ დაიჯერებთ იმ დრომდე, ვიდრე ოფიციალურად უარ-ყოფილ არ იქმნესო, სთქვა ერთხელ ჭკვა-მახვილმა ბისმარკმა.

ახალი ამბავი

*** ამბობენ, რომ ჯერ-ჯერობით საბოლოოდ არ გარდაწყვეტილა ამიერ-კავკასიის რკინის გზის საქმე სახელმწიფო საბჭოს მიერო. წევრნი საბჭოსი ორ დასად გაყოფილან: ერთი იმ აზრისა იყო, რომ გამგეობა გზისა მთავრობამ იტვირთოსო, ხოლო მეორე წინააღმდეგი იყო ამ აზრისაო. ამ საქმის გადაწყვეტა გადადებულ იქმნაო იმ დრომდე, ვიდრე დღევანდელი აშლილი საპოლიტიკო საქმეები არ დაწყნარდებაო.

*** ჩვენ ვნახეთ პროექტი ტფილისის «წიგნების მბეჭდველის საზოგადოებისა». პროექტზედ ხელი უწერიათ რამდენსამე დამფუძნებელ წევრთ. ამ ჟამად ხელს აწერინებენ ყველას, ვისაც ჰსურს დამფუძნებელ წევრად ყოფნა და მერე, როცა საკმაო რიცხვი დამფუძნებელ წევრთა შეგროვდება, მთავრობას წარედგინება ეს პროექტი დასამტკიცებლად. ამ საზოგადოების დაარსების აზრი ის არის, რომ ჰბეჭდოს სხვა-და-სხვა წიგნები, უფრო-კი ქართული, ჰყიდოს კომისიითა, იქონიოს საწყობი საბეჭდავის ქაღალდისა და საკანცელარიო კუთვნილებათა, სტამბა და, თუ საჭირო იქნება, გაზეთი და ჟურნალიცა. საზოგადოების ფული შესდგება წევრთა წილისა და კერძისაგან. თანხა საზოგადოებისა პირველ-ხანობაზე უნდა იყოს 10,000 მან. თითო წილი და კერძი ერთი თუმანი იქნება. წევრად და მოწილედ შეუძლიანთ ჩაეწერონ ყველანი, როგორც კაცნი, ისე ქალნი. მოგება ამხანაგობისა უნდა გაყოფილ იქმნას ყოველწლივ წევრთა-შორის წილის რაოდენობის მიხედვითა. მოგებიდამ ათის თავი გადაიდება თავნის გასაძლიერებლად, დანარჩენიდამ ორი მეხუთედი ნაწილი გამგეობის წევრთა დასაჯილდოებლად. დაწვრილებით წესდების განხილვას მაშინ შევუდგებით, როცა მთავრობა დაამტკიცებს ამ წესდებას. ახლა-კი ვიტყვით, რომ მისი წარდგენა მთავრობის წინაშე და ყოველივე შრომა და შუამავლობა ამ წესდების დამტკიცების გამო საზოგადოებას დაუვალებია ორის დამფუძნებელის წევრისათვის: კოლლეჟსკის ასესორის პერნაძესათვის და დ. კარიჭაშვილისათვის.

*** ქუთაისის მაზრიდამ გვწერენ, რომ ამას წინად სოფელ გოჩა-ჯიხაიშში უბედურება მოხდაო, ცეცხლში დაიწვა ამ სოფლის მცხოვრები გლეხი ჩომახიძეო. საცოდავი გლეხ-კაცი მოჯამაგირედ იყოვო, ერთს საღამოს ღვინო მეტი დაელია და სამზარეულოში დასძინებოდა ცეცხლა-პირასაო. ღამე ამოვარდნილიყო საშინელი ზენა-ქარი, გაეღვივებინა ძრიელი ცეცხლი და ნაღვინევი კაცი ამ გაძრიელებულის ცეცხლის მსხვერპლი გამხდარიყოვო.

*** გორიდამა გვწერენ: „გორში თუმცა მაზრის ექიმია, მაგრამ ვერა სწვდება თავის საკუთარს საქმეებსაც; ხან-დის-ხან ისრე გაჭირდება ხოლმე საქმე უექიმობისა გამო, რომ ტფილისიდამ მოჰყავთ ხოლმე, მეტადრე ზაფხულში. შენი მტერი აქაურების საქმე იქნებოდა, რომ ექიმი სააკოვი, რომელიც სამსახურში აღარ არის და გორში სცხოვრებს, არ გასჩენოდათ. სააკოვიც ვერას გააწყობდა, მაგრამ ზამთრობით გორში მუდამ სამხედრო უწყების ექიმები არიან ხოლმე; ესენი მოსდევენ ხოლმე იმ ჯარის-კაცთა რაზმებსა, რომელსაც გორში ჰნიშნავენ დროებითაო.

*** ხევიდგან გვწერენ: ამ წლის იანვრის 1-იდამ აქაურის ადმინისტრაციის განკარგულებით ქვეშეთის საბოქაულოში თითქმის 10 დუქანზე მეტს აეკრძალა მაგარის სასმელებით ვაჭრობა. როგორც ლაპარაკობენ,

ფელეტონი

საშინელი ვალი

(აფხაზური ლეგენდა)

აფხაზეთის ერთს პატარა სოფელში, რომელსაც მშვენიერი მთა-გორიანი მდებარეობა აქვს, იყო ერთი ლამაზი ქალი, სახელად რატი. ამ სოფლის მამასახლისს ურსანს ეს ქალი გაგიჟებით უყვარდა და სურდა კიდეც ცოლად შეერთო. ურსანი ტანით, სახით, სიმამაცით და მოხდენილობით მთელს სამამასახლისოში განთქმული ბიჭი იყო. რატისაც მოსწონდა ურსანი, მაგრამ არც განსაკუთრებითს სიყვარულსა ჰგრძნობდა იმის ნორჩი გული.

რატი ძრიელ ყმაწვილი ქალი იყო, სულ თოთხმეტ-თხუთმეტის წლისა იქნებოდა; ცხოვრება ჯერ არ გამოეცადნა და მადრიელი იყო თავის ბედისა. თუმცა ურსანს დიდი ხანია თვალი ეჭირა რატიზე, მაგრამ შერთვაზე ლაპარაკს მაინც ვერ უბედავდა. ერთხელ როგორც იყო ურსანმა გაბედა, სიტყვა ჩამოუგდო რატის ცოლად შერთვის თაობაზე: რატიმ არც „ჰო“ უთხრა და არც „არა“.

რატი ობოლი იყო, არავინა ჰყვანდა ერთის ძმის მეტი, რომელიც ერთის წლით თუ იქნებოდა დაზე უფროსი. რატის ძრიელ უყვარდა თავისი ძმა.

იმ დროის ამბავს მოგითხრობთ, როდესაც აფხაზების და წებელდელების შორის განუწყვეტელი, დაუცხრომელი ჩხუბი და მტერობა იყო. რატის ძმა პატარა იყო. ჯერ არც ერთხელ არა ყოფილიყო მეზობელ წებელდელებთან საომრად და ამიტომ მოუთმენელად მოელოდა იმ დროს, როდესაც იმასაც ეღირსებოდა ომში წასვლა.

ურსანი შეჰპირდა რატის ძმას წებელდელებთან საომრად წაყვანას. აი წასვლის დროც მოახლოვდა. აბხაზები სალაშქროდ ემზადებიან. რატის ძმაც მოემზადა და მიდის.

წასვლის წინედ ურსანმა კიდევ განუმეორა რატის თავის გულის წადილი.

— აი, ხომ ჰხედავ, ჩემო ძვირფასო რატი, დღეს მივდივართ საომრად. იქიდგან, ღმერთმა უწყის, ან დავბრუნდები ცოცხალი, ან არა. მომეცი სიტყვა, რომ თუ ცოცხალი დავბრუნდი, ცოლად გამომყვები, მომეცი სიტყვა. ერთი შენი სიტყვა, მარტო იმედიც-კი ომის დროს გამამხნევებს და მარჯვენას გამილონიერებს. ნუ, ნუ მეპყრობი ეგრე გულ-ცივად, მოიხედე ჩემს გულშიაც, შემიბრალე მე ბედ-კრული და ნუ მტანჯავ საცოდავსა.

მამაცი და წარმოსადეგი ვაჟკაცი ისე გულ-მოჩვილებული, ისე გულჩაკლული ელაპარაკებოდა, ისეთის სიყვარულით სავსე თვალებით შეჰყურებდა რატის, რომ რატის გულმაც ველარ შესძლო. თავი ველარ დაიჭირა რატიმ, ნაზად და ალერსიანად შეჰხედა თავის ლამაზ საქმროს და უთხრა:

— კარგი, ურსან, მე ცოლი და შენ ქმარი, მხოლოდ ამ პირობით-კი: შენ მიგყავს ჩემი ძმა წებელდელებთან საომრად. სიტყვა მომეცი, რომ სიკვდილისაგან დაიფარავ და ისევ ცოცხალსავე მომგვრი ძმას. თუ მაინც და მაინც ბედი უღალატებს და მოჰკლეენ, მაშინ მკვდრის თავი მაინც მომიტანე, რომ უკანასკნელად შემეძლოს გამოვესალმო ჩემს ძვირფასს ძმას და აქ, თავის სამშობლო ქვეყანაში, დედა-მიწას საუკუნოდ მივაბარო.

— შენს სიცოცხლეს ვფიცავ, რატი, რომ წმინდად შევასრულებ შენს სურვილს! მიუგო ურსანმა. შენ ამით დიდი ლოდი მოაშორე ჩემს გულს. ეხლა თუნდ მთელი წებელდაც ჩემზე მოვიდეს, მარტოს დამესხას თავს; რაკი შენ ჩემი იქნები, შენი სიყვარული თან გამყვება, მე ვილა დამიდგება წინ, რა მტერი-ღა გამიძლებს...

* * *

შეიარაღებულნი აფხაზები გამოვიდნენ სოფლიდგან და გასწიეს წებელდისაკენ. აფხაზებს განზრახვა ჰქონდათ, წებელდელებს ერთბაშად დაჰსხმოდნენ თავს, მაგრამ ფრთხილმა წებელდელებმა შეუტყეს და ესენიც მზად დაჰხვდნენ.

აი შეიქმნა ჰქა-ქუხილი თოფისა. ორსავე მხარეს ბევრი დაიხოცა; მინდორი ცოტა ხნის განმავლობაში მკვდრებით და დაჭრილებით მოიფინა. ურსანს წარბი არ შეუხრია, უკან ფეხი არ გადუდგამს; ვაჟკაცურად და მამაცურად მიუძღვის წინ თავის მეომარ აფხაზებს და დაუღლელად ომობს. რატის ძმა მხარში უდგა, გვერდითგან არ იშორებს. მაგრამ დახე გაუტანელ ბედსა,—გამოვარდა ტყვია, ეცა ურსანს ბეჭში და ურსანი პირ-ქვე დაეცა.

ღონე მიხდილი ურსანი უძრავად ეგდო დედა-მიწაზე. ურსანი ცოტად გრძნობაზე მოვიდა, ნისლ-გადაკრული თვალები ოდნავ გაახილა და რა დაინახა: რატის ძმა ვილაც წებელდელს შეჰბმია და ვაჟკაცურად ებრძვის. აგერ აკი წებელდელმა დასძლია,—დასცა ძირს რატის ძმა, თავი მოჰკვეთა, ჩააგდო იქვე გუდაში და თავის გზას გაუდგა. ურსანმა ერთი საშინლად ამოიოხრა, იმ წამსვე გული წაუვიდა და სრულიად გრძნობა დაჰკარგა.

* * *

რამდენისამე ხნის შემდეგ ურანი გონზედ მოვიდა. ადგა, მიიხედ-მოიხედა გარშემო, მაგრამ აღარც აბხაზები, აღარც მტრები აღარსად სჩანდნენ და რაღაც სიჩუმე და დუმილი სუფევდა, ურსანი მარტო მკვდრებს-ღა ჰხედავდა და მათ შორის რატის ძმაც დაინახა. ამის დანახვაზე ურსანს ყველაფერი გაახსენდა; რაღაც სევდა და ნაღველი მოაწვა და ამის გულს შეუბრალებლად ქენჯნა დაუწყო.

„რაღა უნდა ვქნა უბედურმა, რა პირით უნდა დავბრუნდე ჩემს სოფელში და ან რა თვალით შევხედო ჩემს რატის?!. — თავის თავს ელაპარაკებოდა ურსანი: მე შევფიცე რატის:

მიზეზი ის არისო, რომ გაუქმებული დუქნები ძალიან ახლო იყვნენ ეკკლესიებსა და სახელმწიფო შენობებთანაო. ყველა ის დუქანი, რომელიც 40 საჟენზე მაინც არ იყო მოშორებული ზემოხსენებულ ადგილთაგან, დაჰკეტა მთავრობამაო.

გაუქმებულის დუქნების პატრონები უფრო იმასა სჩივიან, რომ ზოგიერთმა ჩვენთაგანმა პატენტები აიღო 1 იანვრამდე მაგარის სასმელებით ვაჭრობისათვისაო და ახლა-კი ბრძანება გამოვიდა და აგვეკრძალა ვაჭრობაო.

⁂ „მწყემსი“ სწერს აფხაზეთის საეპისკოპოსოზე შემდეგს: „ჯერეთ კიდევ მიტროპოლიტის ისიდორეს საქართველოში ექსარხოსად მყოფობის დროს იყო ლაპარაკი საკუთარის ეპარქიის დაარსებაზედ აფხაზეთშიო. ექსარხოსის ევსევის დროს აქ გაიმართა საკუთარი ეპარქია და დაინიშნა ეპისკოპოსად ყოვლად სამღვდელო გერონტი ქართველთაგანი. ყოვლად სამღვდელო გერონტი ძალიან ცოტა ხანს დარჩა აფხაზეთში. იმის შემდეგ დაინიშნა ყოვლად სამღვდელო გერმანე, მაგრამ არც ის დარჩენილა აქ დიდხანს. ყოვლად სამღვდელო გერმანეს შემდეგ აფხაზეთში დაინიშნა ეპისკოპოსად ყოვლად სამღვდელო ალექსანდრე, რომელიც კარგა ხანს დარჩა აფხაზეთში. მაგრამ ხალხში რაღაცა აღრეულების მოხდენის მიზეზისა გამო ისიც გადაყვანილ იქმნა ამ ეპარქიიდამ. ყოვლად სამღვდელო ალექსანდრეს შემდეგ აფხაზეთში საკუთარი ეპისკოპოსი აღარ დაუნიშნავთ. ერთ დროს ამ შესანიშნავის ძველის დროის ეპარქიის გაუქმებასაც ჰფიქრობდნენ. თერამეტის წლის განმავლობაში ეს ეპარქია მიწერილი იყო იმერეთის ეპარქიაზე და აგერ თერამეტის წლის განმავლობაში მას მართავდა იმერეთის ეპისკოპოსი გაბრიელი.

ამ უკანასკნელს დროს უწმიდესმა სინოდმა საჭიროდ დაინახა საკუთარის ეპისკოპოსის დანიშვნა აფხაზეთში. დიდხანს ელოდნენ აფხაზეთში საკუთარის ეპისკოპოსის დანიშვნას და აი წარსულ წლის დეკემბრის თთვეში შევიტყეთ უმაღლესი ბრძანება არქიმანდრიტის გენნადის (რუსთაგანია) ეპისკოპოსად დანიშვნაზე აფხაზეთში.“

დამაკვირდი!

მაგალითი, რომელიც ბრძენისათვის საკეთილოა, შესაძლოა სულელთათვის საზიანო იყოს. (ბუასტი)

⁑

ზოგს პატარა განსაცდელისა ეშინიან და დიდს განსაცდელში კი იჩენს მთელს თავის ვაჟ-კაცობასა. (ფენელონი)

⁑

მეცნიერსა კაცსა თავისა ხელ-ფერხი თვით აროდეს მოუკვეთია. (ვისრამიანი)

⁑

წუთის სოფლისა სურვილი
უგუნურება მგონია;
მოყვარევ, კეთილს ჰყვარობდე, —
ბრძენთაგან გამიგონია.
(მეფე ვახტანგ VI)

დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

მცხეთა, 2-ს თებერვალს. გუშინ, 1-ლს თებერვალს, აქაურ რკინის გზის სადგურში მე ვნახე ერთი ქარებით ავადმყოფი ყაზახი ხოპერსკის პოლკის მესამე სოტნისა საველი პროსვირკოვი, რომლის თავ-გადასავალი ღირსია ყურადღებისა. 1885 წელს ეს რუსი გამხდარა ავად ქარებით ალბულაღში (ბელიკლუჩი). ამ საცოდავს კაცს ხელფეხი სრულიად დაჰკრუნჩხვია. ველარც ფეხსა და ველარს ხელს თურმე ველარა ხმარობდა ცხრა თთვე ნახევარი, წოლილიყო ალბულაღის სამკურნალოში და ამ ხნის განმავლობაში მოსამსახურენი აჭმევ-ასმევდნენ თავიანთის ხელით. მთელი კვირა რომ წოლილიყო თურმე საწყალი ერთს გვერდზედ, თუ მოსამსახურეები არ შეიბრალებდნენ და არ გადააბრუნებდნენ, თავისით ვერ გადაბრუნდებოდა. ამ ნაირად დიდ ხანს თითო გვერდზედ წოლით მთელი ტანი დაიარავებია და დასწყლულებია და ამის გამო ავად-მყოფი უფრო მეტად დატანჯულა. ალბულაღში რომ ვერა გაუწყვიათ-რა, ექიმებს დაუდვიათ საცოდავი ურემზედ და გამოუგზავნიათ ტფილისის საავად-მყოფოში. აქაც წოლილა ორი თთვე და ვერც აქ შეუმსუბუქებიათ მისი ბედი და გაუგზავნიათ აბასთუმანს. აქაც უექიმნიათ მისთვის, თუ სამკურნალო წყლებში ბანებითა და თუ სხვა საშუალებით, მაგრამ მაინც ვერას გამხდარან და ორ თთვე ნახევარს შემდეგ უთქვამთ, რომ შენი საშველი არ არისო და გაუგზავნიათ ქუთაისის პოლკში. აქაც უთქვამთ მისთვის, რადგან შენი მორჩენა აღარ იქნა, დაგითხოვთ სამსახურიდამაო და მოუხდენიათ კიდეც განკარგულება, რომ სამშობლოში წაეღოთ და არა წაეყვანათ უბედური. სწორედ ამ დროს ეს საცოდავი უნახავს ერთს ჩვენებურს კაცს და უთქვამს, რომ ერთი მოხუცებული ქალია, კაჭახიძის ქვრივი, რომელიც ჯიხაისში სცხოვრებს, და ის უეჭველად მოგარჩენსო. ავად-მყოფს გადაუწყვეტია წასვლა იმ დედაკაცთან. ავად-მყოფს გაუყიდნია უნაგირი და სხვა ყოველივე, რაც-კი რამ ჰბადებია, მოუგროვებია ამ საშუალებით 80 მანათი. ცხენსაც ვყიდდი, მაგრამ მომიკლეს პოლკში მოუვლელობითაო. ყველა მეუბნებოდა, ექიმები უფრო, ნუ მიხვალ იმ დედაკაცთან, ტყუილად დაჰხარჯავ უკანასკნელს სარჩო-საბადებელსაო. ავადმყოფს არავისთვის არ დაუჯერებია, გაუტანებიათ მისთვის ექიმამდე მისასვლელად ორი რუსის ყაზახი და წასულა. მისულა, გაუსინჯავს ექიმს და უთქვამს, მოგარჩენ ხუთისა ან ექვსის თთვის განმავლობაშიო და მიუყვია ხელი ექიმობისათვის. სამის დღის შემდეგ შევატყვე ჩემს თავს, რომ უკეთ გავხდიო. თერთმეტის დღის შემდეგ ჩემის ხელით ჭამა შევიძელიო და ცოტათი გავმართე მოკრუნჩხული ხელფეხიო. ერთ თთვეზედ ხელ-ფეხში იმდენი ღონე მომეცა, რომ ჯოხების საშუალებით ადგომა და სიარული შევიძელიო. ხელ-ფეხზედ უწინ თან-და-თან ხორცი მაკლდებოდა და მიხმებოდაო, ამ ექიმობის შემდეგ კი ხორცი თან-და-თან მესხმებოდაო. ფერზედ და გუნებაზედაც უფრო-და-უფრო უკეთ შევიქენიო. სამის თთვის ექიმობამ მკვდარი გამაცოცხლაო. სიცოცხლეზედ ხელ-აღებულს ბედი წაღმა დამიტრიალა ამ მადლიანმა ადამიანმა და მომცა იმედი ჩემის საწყალის ცოლშვილის ნახვისაო. თუმცა გულით მინდოდა მის დანიშნულ ვადამდე, ექვს თთვემდე, მომეცადა, მაგრამ რვა თუმნით, რომელიც იმ დედა-კაცს მივეცი საექიმოდ, მეტს ხანს ველარ შევინახე, ისეც ღარიბი დედა-კაცი არისო. პოლკმა არაფერი საშუალება არ მომცა, თორემ მინდოდა კიდევ დავრჩენილიყავიო. ეხლა მადლობა ღმერთს, თუმცა სრულიად მორჩენილი არა ვარ, მაგრამ მაინც ბედნიერი ვარ, აღარაფერი მტკივა, დავდივარ თავისუფლად, თუმცა ყავარჯენსა ვხმარობ, ვწვები, ვჯდები, ვჭამ და არა თუ აღარავისიმე მოხმარება არა მჭირდება, არამედ მე თითონაც შემიძლიან ცოტაოდენის საქმის კეთებაო. ექიმი დედა-კაცი მწამლობდა სასმელ წამლებითაცა და სხვა-და-სხვა ბალახების ცხელ გამონახარშებში ბანებითაცა. აგრეთვე მიზელდა კიდეცა ტანს რაღაცეებითაო, წამლებს აფთიაქში ყიდულობდა. პოლკში რომ ჩამოვედი, ვერავინ ველარ მიცნოვ. ექიმებს არა სჯეროდათ, თუ მე ის მკვდარი პროსვირკოვი ვიყავიო. ვისესხე ექვსი მანეთი და ეხლა მივდივარ სახლში ცოლისა და ორის პატარა შვილის სანახავადაო.

ეს ამბავი ჩემის მხრით განმარტებას აღარა საჭიროებს.

ილიკო ჭიჭინაძე

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

გაზ. „Московскія Вѣдомости“-მ დღეს კიდევ გამოილაშქრა ახალ სამართალზე. ჩვეულებრივის სახით და მძლავრის სიტყვით ბ-ნი კატკოვი მრისხანეობს, და სრულიად ამხობს, მიწასთან ასწორებს ახალ სასამართლო დაწესებულებათა. გაზეთი შარშანდელ წლის ფაბრიკის მუშების არეულობას იხსენიებს და ამბობს:

ნუ თუ ეს საქმეც ისევ იმავ სასამართლოს ხელში ჩავარდებაო და დამნაშავენი შარშანდელივით დაუსჯელნი დარჩებიანო?—კითხულობს გაზეთი. ნუ თუ კიდევ მოვესწრობით იმ უმართებულო უბედობას სასამართლოში, რომლის მნახველი ჩვენ შარშან ვიყავითო? ღმერთმა ნუ ქმნას!

> ჩვენს სიტყვას უკანვე წავიღებთ, ჩვენ უარს ვიტყვით ყველაფერზე, რაც კი ფაბრიკების ხელის-შეწყობაზე და გაძლიერებაზე გვითქვამს; ჩვენ დღეს, პირ-იქით, ვსთხოვთ ფინანსთა სამინისტროს, მოუსპოს მრეწველებს ყოველ-გვარი საბაჟო შეღავათი. დეე, დაიხუროს, გაუქმდეს ყველა ფაბრიკები და ქარხნები, დეე მოისპოს სრულიად მრეწველობა, ოღონდ ის სისაძაგლე, ბოროტება თავიდამ მოგვიშოროთ, რომ ჩვენის საზოგადოების ცხოვრებას არა ჰრყვნიდნენ ნაფიცი მსაჯულებ და ვექილები. როდის დავიხსნით თავს ამათ ბძანებლობისაგან? როდის მოვესწრობით იმ დროს, რომ ჩვენის სასამართლო დაწესებულებას რაიმე აზრი და მნიშვნელობა ჰქონდეს, რომ ჩვენი სამართალი ჩვენს ცხოვრებაზე იყოს გამოჭრილი.

როგორი სასამართლო ჰსურს

ძმას ან ცოცხალ დაგიბრუნებ, ან, თუ მოჰკლეს, თავს მაინც მოგიტან მეთქი და ეხლა რა პასუხი ვუთხრა? რომ ფიცი მივეცი და ვერ ავუსრულე, ეს ხომ ჩემთვის სირცხვილი და თავის მოჭრაა! ან რაღა პირით უნდა მივიდე სოფელში, ან განა ხალხში-ღა გამომესვლება!.. განა ყველა ნიშნ-მოგებით არ დამიწყებს ცქერას, განა ყმაწვილების თითით საჩვენებელიც არ გავხდები, როგორც სატრფოს მოღალატე და ფიცის გამტეხი! ოხ, რატი, რატი, შენ განაცვალებ ჩემს სიცოცხლეს!“

სთქვა ეს და თვალებიდგან მწარე ცრემლი გადმოყარა.

— ერთი-ღა დამრჩენია, კვნესით ამოიძახა ურსანმა, ავიღო ხანჯალი, დავიცე გულში და საუკუნოდ გამოვეთხოვო ამ დაუნდობელ წუთი-სოფელს.

სთქვა ეს და წაიღო ხელი ხანჯლისაკენ, მაგრამ უეცრივ ვიღაც უცნობის ხმა მოესმა.

— არ გაჰბედო, გადააგდე ხანჯალი! შე საცოდავო, ასე უდროვოდ რად ეთხოვები ქვეყანას!

ურსანმა განცვიფრებით აიხედა ზევით და დაინახა, რომ იმის წინ მშვენიერი თვალ-ტანადი ყმაწვილი კაცი იდგა; ყმაწვილი-კაცის დაღვრემილი სახე და მაყვალსავით შავი თვალები ეცნო ურსანს,—ეს კაცი წებელდელი იყო.

დაინახა თუ არა ურსანმა ეს კაცი, მაშინვე მთელს ტანში რაღაც შიშის ჟრუანტელმა დაუარა.

ყმაწვილი-კაცი ისევ დაღვრემილი დგას და ეუბნება ურსანს

— შე უბედურო, ნუ თუ არ იცი, რომ ქვეყანაზედ არის ისეთი სახსარი, რომელსაც შეუძლიან შენის ბედნიერების დაბრუნება?!

— იმისთანა სახსარი ქვეყანაზე არ იქნება, რომ რაც დავკარგე, ის ისევ დამიბრუნოს, —სასო-წარკვეთილებით უპასუხა ურსანმა და ხელ-მეორედ წაიღო ხელი ხანჯლისაკენ.

— არც მთის ბოროტი სული? რაღაც უცნაურის სიცილით წამოიძახა ახალგაზდა წებელდელმა. შენ მხოლოდ იმისი სახელი ახსენე,—ამ წამსვე აქ გაჩნდება და დაგიხსნის.

ურსანს ხანჯალი ხელიდგან დაუვარდა.

მთის ბოროტი სული, წაიბუტბუტა თავისთვის ურსანმა. ამასთან მოაგონდა და დაიწყო იმ ლექსის თქმა, რომლითაც მთის ბოროტს-სულს მოიწოდებენ ხოლმე.

უეცრივ ერთი საშინელი ხარხარი მოისმა. არე მარემ ბანი მისცა. ყმაწვილმა კაცმა გადაიხადა ნაბადი და გაოცებულმა ურსანმა რატის ძმის მოჭრილი თავი დაინახა.

— აი, შენის რატის ძმის თავიც! წაიღე, უთხრა ყმაწვილმა კაცმა და მკვდრის თავი ურსანს კალთაში ჩაუგდო.

— მე ხომ შევასრულე შენი სურვილი.... მე შენ ისეთი საჩუქარი მოგეცი დღეს, რომელიც შენთვის ყველაზე უძვირფასესია: გახსოვდესკი, რომ დღეის შემდეგ შენ ჩემი მოვალე იქნები. ათ წლამდე ხმასაც არ გაგცემ. ათი წელიწადი რომ გაივლის, ისეთს რამეს წაგართმევ, რომ შენთვის იმ დროს ყველაზე უძვირფასესი იყოს.

სთქვა ეს ყმაწვილმა-კაცმა, უჩინარად შეიქმნა და თვალ-წინ გაუქრა.

⁂

ურსანი ადგა, შეიხვია თავის ჭრილობა, გუდაში ჩაიდო სისხლით მოსვრილი თავი და წყნარის ნაბიჯით გაუდგა თავის სოფლისკენ გზას.

სოფელს ძრიელ იამა ურსანის დაბრუნება. ცოცხალი აღარავის ეგონა ურსანი, რადგან ომიდგან დაბრუნებულ აფხაზებმა სთქვეს, რომ ურსანი და რატის ძმა ორივენი ომში დაიხოცნენო. სოფლის სიხარულმა ურსანს დარდი ვერ გადუყარა, ურსანს სულ სხვა ნაღველი აწუხებდა. მოსვლის უმალვე ურსანი გაექანა საბრალო რატის სახლისაკენ, სადაც გულჩაკლული რატი იჯდა და მწარედ ჰკლოვობდა თავის საყვარელს ძმას.

რატიმ თავის ძმის მოჭრილი თავი რომ დაინახა, უფრო გული დაეწვა და ჩაეთუთქა. მწუხარებით შეპყრობილს ქალს ურსანი დიდს ნუგეშს აძლევდა და ამშვიდებდა.

გაიარა ხანმა. რატიმ ცოტად გადიყარა გულიდამ დარდი და მწუხარება, და აი ერთს დღეს თავის საქმროს ურსანს უთხრა:

— შენ ხომ შეასრულე შენი ფიცი, ჩემო კარგო, მეც უნდა მტკიცედ ვიყო ჩემ სიტყვაზე და ჩემი დანაპირები ავასრულო.

— ნუ თუ, ჩემო მტრედო, მარტო იმისთვის მომყვები ცოლად, რომ სიტყვა მომეცი და იმ სიტყვის გატეხას ერიდები? არაფერი ნუგეშია ჩემთვის. რა ცოლი იქნები შენ ჩემი, თუ სრულის სიყვარულით, ტკბილის გრძნობით და სურვილით არ მომდევ?

რატიმ ეს ეჭვი გადუყარა და გული გადუხსნა.

ურსანი სრულიად ბედნიერად სთვლიდა თავის თავს და მხოლოდ ერთი რამ აწუხებდა: ურსანი არ უმხელდა, უმალავდა რატის იმ გარემოებას, რომელმაც ასეთი დიდი ბედი სწია, რომ რატიმ სრულიად გული გადუხსნა თავის საქმროს. ურსანმა და რატიმ ჯვარიც დაიწერეს. ამათ ქორწილში მთელი სოფელი დაესწრო. ცოლ-ქმარი ბედნიერად სცხოვრებდნენ. ურსანს თითქმის დაავიწყდა კიდეც ის საშინელი ვალი, რომელიც უცნობმა წებელდელმა დაადო ურსანს და უთხრა: „ათის წლის შემდეგ გადაგახდევინებო“.

⁂

გავიდა ათი წელიწადიც. ურსანი უწინდებურად ბედნიერად სცხოვრებდა, და მხოლოდ ის აწუხებდა, რომ შვილი არა ჰყავნდა.

— ახ, ნეტავი კი შვილი მოგვეცასო!.. ხშირად ნაღვლიანად იტყოდა ხოლმე ურსანი.

ეს ნატვრაც აუხდა ურსანს,—მეათე წელიწადზე მშვენიერი ვაჟი მიეცა და ურსანი ახლა უფრო გაბედნიერდა.

როგორც აფხაზების ჩვეულება მოითხოვს, ურსანმა და რატიმ მაშინვე უშოვეს თავიანთ შვილს კარგი ოჯახი, სადაც უნდა გაებარებინათ შვილი გასაზრდელად. მოვიდა დროც, როდესაც ყმაწვილი უნდა მიეცათ გასამზრდელოდ. სწორედ წინა დღეს, როდესაც დედ-მამა უნდა შვილს მოჰშორებოდა, ურსანს თავის საწოლ ოთახში ტკბილად ეძინა. უეცრივ ძილში ვიღაც უცნობის ხმა მოესმა. ურსანი შეკრთა და იმ წამსვე გამოეღვიძა. ის იყო მტრედის-ფრად თენდებოდა. ნამძინარევი თვალები მოიფშვნიტა და დაინახა, რომ მის წინა დგას ვიღაც უცნობი კაცი. ეს კაცი ძლიერ ჰგავდა იმ ყმაწვილ კაცს, რომელიც ამ ათის წლის წინად ნახა.

— „ათი წელიწადი გავიდა, ურსან, გესმის! დასჭექა მთის ბოროტმა სულმა: ხვალ ჩემი ვალი უსათუოდ უნდა გადამიხადო!“

ურსანს შიშისაგან გონება წაერთო. როდესაც ცოტა გონს მოვიდა, გაკვირვებული ეკითხებოდა თავის თავს: ნუ თუ ეს მართლა ცხადი იყო და არა სიზმარი, არა, სიზმარი იყო, სიზმარი?! ამითი ინუგეშა და ცდილობდა მწარე ამბავი თავიდამ მოეშორებინა,

ახლის მაგიერ, გაზეთი ამაზე ხმას არ იღებს. იქნება ახლისა ცოტად შესწორება უნდოდეს გაზეთსა? არა, გაზეთი ამაზედ სრულს უარს აცხადებს.

> ზოგიერთნი გვწამებენ, ვითომ ჩვენ გვსურდეს ახალ სასამართლოს დაწესებულებათა შესწორება, შეკეთება, ცოტად შეცვლა. ამბობენ, ვითომ ამ საქმის გამო სამინისტროში შეტანილი პროექტი და ამ პროექტის შედგენაში ჩვენც მონაწილეობა მიგვეღოს. ტყუილია, ჩვენ ამ საქმეში სრულიად არ გავრეულვართ. არა, ჩვენ ამისთანა პროექტებს არა ვთხუზავთ; ჩვენ იმ აზრისა ვართ, რომ ცოტაოდენი შეცვლა და შეკეთება, დაძლანება და დაკონკება საქმეს შველას არ მისცემს, ვერ აღადგენს დათრგუნულს სიმართლეს.

ერთის სიტყვით, გაზეთის სურვილი ის არის, რომ დღევანდელის სასამართლოის შენობა საძირკვლამდინ დაინგრეს, და უკეთესი შენობა აიგება ამ ნანგრევებზე თუ არა, ეს გაზეთს ეკითხოს.

წერილი რედაქციის მიმართ

ბატონო რედაქტორო!

„ივერიის“ მე-21 ნომერში დაბეჭდილი იყო სამეურნეო საზოგადოების კრების ანგარიში. სხვათა შორის ანგარიშში მოხსენებული იყო ჩემ მიერ გამოთქმული აზრიც, მაგრამ ძალიან ბუნდად, გამოურკვევლად-კი. ამიტომ გთხოვთ, ჩემის ნამდვილის აზრის აღსადგენად ეს წერილი დამიბეჭდოთ. აი საზოგადოების კრებაზე მე რა ვთქვი: მინისტრი კითხულობს შეუძლიან საზოგადოებას თავის ბაღში მისცეს ალაგი აბრეშუმის გასაშენებლადაც, თუ არა? გვეუბნებიან, იმაზე ნურას იტყვითო, ივარგებს ამ ბაღში საბრეშუმო სადგური თუ არაო. აბრეშუმის წარმოებაზე და საბრეშუმო სადგურზე დღეს ლაპარაკი მეტია, რადგან ამაზე საზოგადოებას ბევრი ულაპარაკნია, ეს საგანი დიდი ხანია გადაწყვეტილია და სადგურის დაარსებაც თვით საზოგადოებამა სთხოვა მინისტრსა. დღეს ჩვენ მარტო იმაზედ უნდა გვქონდეს ლაპარაკიო, შეგვიძლიან მივცეთ სადგურისათვის ალაგი, თუ არაო? ამაზედ მეც აი ესა ვსთქვი: „ალაგის მიცემა არ შეგვიძლიან-მეთქი, და არ შეგვიძლიან ჯერ ერთი იმიტომ, რომ შევიწროვდება ჩვენი ახლად დაარსებული სკოლა და მეორე იმიტომ, რომ ბევრი სხვა საგანია, აბრეშუმზე არა ნაკლებ მნიშვნელობიანი, რომლის გამოკვლევას და შესწავლას უფრო დიდი ყურადღება უნდა მიაქციოს სამეურნეო საზოგადოებამ, ვიდრე სხვა-და-სხვა სადგურების დაარსებას შეუდგებოდეს. მაგალითად მევენახეობას, მებოსტნობას და ბევრს სხვა ამისთანა საგნებს უფრო დიდი კავშირი აქვსთ იმ სკოლასთან, რომელიც გამართულია სხვა-და-სხვა ქვეყნების ხეხილის მოშენების ბაღში და ამიტომ ამათ უნდა მივცეთ პირველად ადგილი ამ ბაღში. ვაზის შემუშავებას და მევენახეობას საზოგადოდ ჩვენში დიდი მნიშვნელობა აქვს და ჩვენ ჯერ არც კი გვაქვს გამოკვლეული და შესწავლილი ჩვენებური ვაზი, მაგალითად, მისი თვისება, ყვავილის გამოღება, ყურძნის დამწიფების დრო, ჭაჭის მოხმარება და სხვა, აგრეთვე ვაზის გამრავლება, გასხვლა, მყნობა და სხვანი და სხვანი...

ყველა ამეების შესასწავლად ჩვენს საზოგადოებას აქვს ერთად ერთი ბაღი, რომელსაც სულ 480 ოთხ-კუთხი საჟენი ადგილი უჭირავს. სულ ცოტა რომ ვსთქვათ, ეს ადგილი უნდა გაოთხდეს მაინც, რომ მარტო მევენახეობა წესიერად შეისწავლოს. სამწუხაროდ, ამის მოხერხებაც ძნელია, რადგან საიმისო ადგილი არ არის ბაღში. ამიტომ ვამბობ, რომ ბაღიდამ საბრეშუმო სადგურს მიწას ვერ მოუჭრით მეთქი.

ვასილ სულხანიშვილი

უცხოეთი

გერმანია. გაზ. „Terps“-ს შემდეგი ამბავი მიუღია ვენიდან: ამ ბოლოს დროს, ბისმარკის მაგ წარმოთქმულის სიტყვის შემდეგ, პოლიტიკური მდგომარეობა შეიცვალა. რაკგან ბისმარკის მჭევრ-მეტყველებამ არავის მოულბო და მოუხიბლა გული პეტერბურგში, ბისმარკი აშკარად მიხვდა, რო რუსეთთან კავშირი არ ეღირსებოდა და ამიტომ ადგილი იცვალა, ისევ ავსტრო-უნგრიას მიჰმართა და ინგლისთან დაახლოვება მოიწადინა. ამ ამბავს ის გარემოებაც ამტკიცებს, რომ ბისმარკმა პირველმა თვითონ გაუწია დარბაზობა ინგლისის ელჩს სერ ედვარდ მალეტს და ეს კი რასოდეს ჩვეულებად არა აქვს. იტალიას ბისმარკს სრული იმედი აქვს, რადგან იტალია დიდი ხანია აღტაცებაში მოდის გერმანიის პოლიტიკითა.

ბოლგარია. ოსმალეთი, ცანკოვი და ვულკოვიჩი მორიგებულან იმაზედ, თუ როგორ უნდა დაბოლოვდეს ბოლგარიის საქმე. მათის გარდაწყვეტილებით, ჯერ უპირველესს ყოვლისა უნდა დათხოვნილ იქმნეს ეხლანდელი სარეგენტო მთავრობა და ახალი სამინისტრო უნდა შესდგეს ყველა დასის წევრთაგან. ამის შემდეგ დიდს საერო კრებას მოიწვევენ და მაანდობენ, რომ სამს კანდიდატზე, რომელსაც დაუსახელებენ, ერთ-ერთი ამოირჩიოს ბოლგარიის სამთავრო ტახტის მთავრად. ამ სამ კანდიდატთა შორის სამეგრელოს თავადი ნიკოლოზიც იქმნებაო.

— ვენიდგან აუწყებენ გაზ. „Kölnische Zeitung“-ს, რომ ბოლგარიის სარეგენტო მთავრობა გაცხარებულს შეიარაღებაშია, ყველა ციხეებს ამაგრებს და აიარაღებსო. მაგალითებრ, ციხე სილისტრია შეუიარაღებია და დიდ-ძალი სურსათი და ტყვია-წამალი გაუგზავნია ამ ციხეში.

ინგლისი. ლონდონიდგანა სწერენ გაზ. „Independance Belge“-ს, რომ ლორდ რანდოლფი ჩერჩილი საზღვარ-გარედ წავიდაო. ამ გაზეთის აზრით, იმიტომ წასულა საზღვარ-გარედ ჩერჩილი, რომ იძულებულ არ იქმნეს და სარჩელი და ქომაგი არ გაუწიოს სალისბერის კაბინეთს, რომელიც დღეს არის თუ ხვალ დაეცემაო. ლორდ რანდოლფ ჩერჩილი ჯერ-ჯერობით სამხრეთ-საფრანგეთში წავიდა, აქედგან ალჟირში წავა და ინგლისში-კი მხოლოდ ორის თვის შემდეგ დაბრუნდებაო.

საისტორიო და საბიბლიოგრაფიო წერილები

წერილი 2-რე

Археологич. путешествіе по Гуріи и Адчарѣ. დ. ბაქრაძისა, ატლასით დაბეჭდილი, პეტერბურგის საიმპერ. სამეცნიერო აკადემიის მიერ 1878 წ. ფას. 2 მან.

(შემდეგი*)

თავი მეორე

აქ ავტორი მოგვითხრობს სხვათა შორის ჭოროხას ხეობის ისტორიას. სომხის მწერლები ამტკიცებენ, რომ მთელი ეს ხეობა და მტკვრის სათავე შეადგენდნენ დიდს სომხეთის პროვინციებსაო: **ზემო სომხეთს, ტაიკს და გუგარკს.** ზემო სომხეთად, მათის აზრით, იწოდებოდა ისპირი და ბაიბურთი; ტაიკად— ტაოს-კარი, ბორჩხის-ხევი, ლიგანის-ხევი, შავშეთი, ერუშეთი და აჭარა; გუგარკად— არტაანი, სამცხე და ჯავახეთი. ესეთი აზრი სომხების მწერლებისა უსაფუძვლო აზრიაო და მკვიდრი ნიადაგი არა აქვსო. თავის აზრს ბაქრაძე ამტკიცებს მრავალის საისტორიო საბუთებითა.

სტრაბონი ამბობს, რომ ტრაპიზონის სამხრეთ მიჯნადამ აღმოსავლეთისკენ გაჭიმულია ერთი მთა-გრეხილი „სკუდისი“ რომელიც ჭოროხ-მტკვრის და ეფრატ-არეზის სათავეებ შორის, გადის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთისკენ მიდის და იწოდება მოსხის ანუ მესხეთის მთად. ამ სკუდისის და მოსხის მთებს სამხრეთით სცხოვრობდნენ სომხებიო და აღმოსავლეთით ქართველთ-ლაზები.

სტრაბონისა და ჰეროდოტეს თქმით, მკვიდრნი მცხოვრებნი სკუდის—მოსხის მთების ჩრდილოეთის მხრივ შავ-ზღვამდე, ტრაპიზონიდგან მოკიდებული, იბერებსა და ალბანელებთან ერთად შეადგენდნენ სპარსეთის სახელმწიფოს მე-XIV-სა და მე-XIX სასატრაპოებსა.

სომხეთის ისტორიის მწერალი სენ-მარტენი უფრო სომხებისაკენ იყო ხოლმე და თვით ისიც კი საქართველოსა და სომხეთის მიჯნად ჰრაცხს წყალთა გამყოფელ ხაზს, რომელიც გადის ჭოროხისა, მტკვრისა, ეფრატისა და არეზის სათავეებ შორის, ზემოხსენებულის მთის მწვერვალზედ.

მაგრამ ეს საბუთებიც რომ არა გვქონდეს, მაინც სხვა საბუთებიც ბევრია, რომ სომხების მწერალთა აზრი უარ-ვყოთ.

ა) მეფე ფარნაოზიდგან (302—237 ქრ. წინად) მოკიდებული აქამომდე აქაურნი მთანი, მდინარენი, ქალაქ-დაბანი, ქვეყანანი და სხ. ქართულის სახელ-ოწოდებით იხსენიებიან, მაგალითად: ჭოროხა, ლიგანის-ხევი, ტაოს-კარი, კლარჯეთი, შავშეთი, აჭარა, ბეხლის-მთა, კოლა, არტაანი, რუშეთი, სამცხე, ჯავახეთი და სხვანი.

ბ) ამას გარდა ყველა ამ ქვეყნებში მრავლად მოიპოვებიან ტაძარ-მონასტერნი, აგებულნი მეხუთე საუკუნითგან მე-XIV საუკუნემდე, მაგალითად: დადეშისა (კოლაში), ნაქალაქევისა (არტაანში), აწყურისა, ზარზმისა, საფარისა, გარძიისა და სხ. (სამცხეში), წყაროს-თავისა, ქუმურდოსი და სხ. (ჯავახეთში), ტბეთისა, ოპიზისა, ანჩისა და სხ. (მაჰმეთ-ლიგანის-ხევში), ბანისა, იშხნისა, ეკრეკისა, კომშისა, ხახულისა (კლარჯეთში), სხალტისა (აჭარაში), ფარხალისა, ლაზისტანის შუაგულში და სხ.

რომ ეს ეკლესიანი ყოფილან ქართულნი, ამას, გარდა ზედ ეკლესიების ქართულ წარწერათა და გუჯართა, ამ-

---

*) იხ. „ივერია“ № 19.

აი დადგა ის დღეც, როდესაც ყმაწვილი უნდა გაეტანებინათ. ურსანმა მეზობლები მოიწვია და დიდი ლხინიც გაუმართა ყმაწვილის წამყვანს. რატი დიდის მწუხარებით გამოემშვიდობა თავის ძვირფასს შვილს; წამყვანმა აიყვანა ყმაწვილი და გაუდგა გზას.

ამ დროს მოწმენდილ, მოკაშკაშებულ ცაზე პატარა შავი ღრუბელივით რაღაცა გამოჩნდა, ყმაწვილისაკენ წამოვიდა და ყველამ აშკარად დაინახა, რომ ეს დიდი არწივი იყო. არწივი შურდულივით ეცა ყმაწვილის წამყვანს, შეუბრალებლად გამოჰგლიჯა ხელიდგან ყმაწვილი, შესვა მხრებზე, გასწია მაღლა და გაჰქრა შორს ცის სივრცეში. ამ უეცარმა ამბავმა ყველას შიშის ზარი დასცა. რატი მწარე ცრემლითა სტიროდა და თმებს იგლეჯდა, მაგრამ რას უშველიდა. მხოლოდ ურსანი მიჰხვდა, ვინ იყო ეს არწივი; გამოეპარა სახლიდგან და გასწია უდაბურ მთებში ბოროტის სულის საძებნად.

ურსანი დიდხანს დაეხეტებოდა მთებში და მიუვალ ადგილებში. იკვებებოდა მინდვრის ხილით და სვამდა მჩქეფარე წყაროს წყალს. ბევრი იარა, და ბოლოს ავიდა ისეთ მთების წვერზე, სადაც ადამიანის ფეხი ჯერ არ მიჰკარებოდა.

იარა დიდხანს ასე უგზო-უკვლოდ. ერთს დღეს უეცრივ შორს სადღაც მოესმა თავის შვილის ტირილი და მთის ბოროტის სულის ხარხარი.

ურსანმა სული გაინაბა და მთლად სმენად გარდაიქცა; მაგრამ ყმაწვილის ტირილიც და ბოროტის სულის ხარხარიც ერთბაშად შესწყდა.

გარშემო ბუნება მიდუმებული იყო, ყველგან საშინელი დუმილი და მყუდროება სუფევდა, მხოლოდ მთის ქვევით მოისმოდა მონადირეს თოფის ზუზუნი და ზევით არწივის ფრთების შრიალი და შუილი. ერთხელ ურსანს ისე ახლო მოესმა თავის შვილის ტირილი, რომ აღტაცებით აღარა ახსოვდა-რა, თვალები აუჭრელდა და კინაღამ იქვე მჩქეფარე მდინარის უფსკრულში არ მიიღო ბლარტანი. შემდეგ გონზე მოვიდა, გაიხედ-გამოიხედა ურსანმა და დაინახა თავის შვილი, მაგრამ ყმაწვილი ისეთ მიუვალს ადგილას იჯდა, რომ ადამიანს არამც თუ იქ მისვლა, შორი-ახლოს მიდგომაც ვერ შეეძლო. ყმაწვილი ჩუმად იჯდა და მზის სხივებით გაბრწყინვალებული თამაშობდა; წინ ძვირფასი სათამაშოები ელაგა. ზევით მთის ბოროტი სული იდგა და ტკბილ „ნანას“ დაჰმღეროდა. სასიამოვნო გრილი ნიავი ჰქროდა და ბოროტს სულს გარშემო უთამაშებდა გრძლად ჩამოშლილ ხუჭუჭს და გიშერივით შავს თმებს. ურსანს გულმა ვეღარ გაუძლო, ერთი ამოიხვნეშა და შეეცადა ამ კლდის წვეროზე. ამ დროს რაღაც უცნაური სიცილი მოესმა: ურსანი ძირს წამოვიდა და სრულებით გრძნობა დაჰკარგა. ურსანს მეორე დღესაც ასე დაემართა. ბოროტი სული მხოლოდ შორიდგან ცქერის ნებას აძლევდა და ახლოს კი არ უშვებდა ბედკრულ მამას თავის შვილთან. მიეიჯდა თუ არა ურსანი კლდის წვერთან და დააპირებდა ყმაწვილის ხელის მოკიდებას და წამოყვანას, მაშინვე თვლემა მოუვიდოდა ხოლმე და იქვე ჩაეძინებოდა.

ბოლოს გაახსენდა ურსანს, რომ იმის სოფელში არის ერთი ღონით, სიმამაცით და ვაჟკაცობით ქვეყანაზე განთქმული ბიჭია, სახელად შირარი. ამასთან ისიც გაახსენდა, რომ ომის დროს ერთს ქრისტიანს ურსანმა წაართვა ხანჯალი, რომლის ტარი ჯვარად იყო გაკეთებული. მაშინ ქრისტიანმა უთხრა: ეს ისეთი იარაღია, რომ ბოროტი სული მოჰკრავს თუ არა თვალს, იმ წამსვე წეწვა-გლეჯას დაიწყებს, თითქოს ცეცხლს უკიდებენო.

ურსანმა, როგორც იყო, მონახა შირარი, უამბო თავის უბედურების ამბავი და სთხოვა შველა.

შირარმა ნუგეში სცა ურსანს და უთხრა: მთის ბოროტს სულს პირ-დაპირ შევებმები და ყმაწვილს წავართმევო.

წავიდნენ ორივენი მთაში. გაიარეს კარგა მანძილი, მოესმათ ყმაწვილის ტირილი და თან მთის ბოროტის სულის ტკბილი „ნანა“.

— მშვიდობით, ურსანო! ეგ შენი ხანჯალი მე მომეცი და შენ კი აქ მოიცადე. ახლა კი დავიჯერებ, რომ მართალია იმ ქრისტიანის სიტყვა:—ბოროტს სულს ჯვარი და ხანჯალი დასძლევსო.

სთქვა ეს შირარმა და ჯეირანივით შევარდა კლდეზე; ერთის კლდიდგან მეორეზე გადავიდა და მივიდა თუ არა იმ ალაგას, სადაც ყმაწვილი იყო, მუხლთ მოეკვეთა, ძილი შეეპარა და თვლემას მოჰყვა. მაგრამ შირარმა მაშინვე თვალებზე ხელი გადისო და ურსანის ხანჯალზე დაიწყო ფიქრი. თავი ბაშლუღით შეიკრა, რომ მის ყურებს არ გაეგონა ბოროტის სულის მოჯადოებული „ნანა“. ამ ნაირად შირარი ნელ-ნელა ზევით ადიოდა კლდეზე. აი ერთი ნაბიჯი კიდევ და მივა იმ ადგილას, სადაც ყმაწვილი ზის და თამაშობს. მაგრამ ერთბაშად თვალ წინ სრულიად სხვა სანახავი წარმოუდგა: შირარის წინ იდგა მშვენიერი, კეკლუცი და ლამაზის ტანის ახალ-გაზრდა აფხაზის-ქალი, რომლის ტანისამოსი ისეთი ბრწყინვალე და თხელი იყო, რომ შირარს შეეძლო თვითეული მისი ძარღვი დაეთვალა. შირარი გაოცდა, ცოტას გაწყდა ბოროტმა სულმა სრულიად არ მოაჯადოვა შირარი; მაგრამ შირარს გაახსენდა თავისი ხანჯალი, წაიღო თუ არა ხელი ხანჯალზედ, ეს მშვენიერი ქალი იმ წამსვე გაჰქრა. შირარმა შეჰკივლა, შევარდა კლდეზე და ერთი წუთიც არ გასულა, რომ წინ დაუდგა ბოროტს სულსა. მთის ბოროტი-სული წამოვარდა, წაავლო ხელი ყმაწვილს და კლდეში უნდოდა გადაეგდო.

შირარი უცებ შეჩერდა. მაშინ ბოროტმა სულმაც ყმაწვილი ყვავილებზე დასვა. შირარს შიშმა ჩქარა გაუარა და ისევ გამბედაობა მიეცა. ამასთან ქვევიდგან ურსანის კვნესა და წუხილი მოესმა და ამან უფრო გაამხნევა. შირარმა მოსტეხა ჯვრიანი ტარი ხანჯალს და წყევა-კრულვით ჯვარით ხელში გამოეკიდა ბოროტს სულს. ბოროტმა სულმა ისეთის საზარელის ხმით შეჰკივლა, რომ მთელმა არე-მარემ ხმა მოსცა და კლდე-ღელე შეანძრია, ყმაწვილი იქვე მიატოვა და თვითონ-კი წივილ-კივილით გადიჩეხა კლდიდამ უფსკრულში.

შირარმა მოჰკიდა ხელი ყმაწვილს და გამარჯვებული დაბრუნდა ურსანთან. ურსანი თავის თვალით ჰხედავდა ამდენს ხანს დაკარგულს შვილსა და არა სჯეროდა; ეგონა, ეს სიზმარია, თორემ ცხადლივად ვინ მაჩვენებდა ჩემს საყვარელს შვილსაო.

⁂

აფხაზები ამბობენ, რომ იმ ადგილიდგან, რომელსაც ეძახიან „შაითან-საი-ნაშრიკ“, ესე იგი „ბოროტის სულის კლდე“,—ეხლაც დრო-გამოშვებით ისმის ხოლმე გულ-საკლავი კვნესა და ოხვრა მთის ბოროტის სულისაო. *)

თეოფ. ხუსკივაძე

---

*) ეს ლეგენდა ერთს რუსულს ჟურნალში დაბეჭდილი.

ტკიცებს აგრეთვე ის გუჯარიც, რომელიც ბაქრაძეს აღმოუწერია ერთის ძველის წიგნიდამ, თ. ნესტორ წერეთლის ბიბლიოთეკის გასინჯვის დროს. ესევე გუჯარი ჩაწერილი ყოფილა მღვდლის დავით ინაშვილის მიერ გადაწერილ ვახუშტის საქართველოს ისტორიაში. ამ გვარივე გუჯარი არსებობს საქართ. იმერეთ. სინოდის კანტორის გუჯართა კრებულში. ამ გუჯარს ეწოდება „კათოლიკოსის სამწყსო სამცხე-საათაბაგოსი". ამ სამწყსოს შეადგენდნენ ცამეტნი საეპისკოპოსონი: მაწყვერელისა, კუმურდოელისა, იშხნელისა, ანჩელისა, მტბევარისა, წურწყაბელისა, წყაროს-თავლისა, ერუშნელისა, კალმახელისა, ანჩელისა, კარელისა, ბანელისა და დადაშნელისა. გუჯარში მოხსენებულია თვით სივრცე და მიჯნა თვითოეულის საეპისკოპოსოსი.

გ) მერვე საუკუნეში ქრ. აქედ მთელი ჭოროხის ხეობა და ლაზისტანი ეკუთვნოდათ ბაგრატოვანებს, რომელთაც საქართველოს დაიწყეს ერთობა და მეათე და მეცამეტე საუკუნოებში ფრიად განაძლიერეს.

დ) ქართულის ენისა და მწერლობის განვითარება დაიწყო ამ ქვეყნებში, ესე იგი ზემო ქართლში. აქ დაიბადნენ ქართველთა დიდებულნი პოეტნი და საზოგადოდ საერო-საეკლესიო მწერალნი.

(დასასრული იქნება)

გასართობი

საცოდავი ხარაზი. ნაპოლეონს I-ს არ უყვარდა მეტის-მეტი ფიქრი, რა ჩაეცვა და რა დაეხურა და მაშინაც კი, როცა იმპერატორად გახდა, წაღებს იმასვე აკერინებდა, ვინც პატარაობის დროს უკერავდა. იგი ხარაზი გადაიცვალა და მის მერმედ შვილი მისი უმზადებდა წაღებს. ერთხელ ზომის ასაღებად მოვიდა ხარაზი და ნაპოლეონის ხელზედ მოსამსახურეს შეევედრა: რა ვქნა, ზომა უნდა ავიღო იმპერატორის ფეხისა და არ ვიცი როგორ მოვახერხო.

— იახელ იმპერატორს და ის იქნებაო, უპასუხა მოსამსახურემ.

— აბა ჭირიც ეგ არის, როგორ გამოვეცხადო მის დიდებულებასაო? იკითხა დალონებულმა ხარაზმა.

— შლიაპა დაიხურე, შავი შალვარი ჩაიცვი, ხმალი დაიკიდე და ისე.

ამ მორთულობით მოვიდა ტუილერიეში ხარაზი და შეიყვანეს იმპერატორის კაბინეთში.

— ეგ თქვენ მიკერავდით სულ მუდამ წაღებსა? ჰკითხა ნაპოლეონმა.

— არა, თქვენო დიდებულებავ, მამა ჩემი გახლდათ, მიუგო შიშით გამშრალმა ხარაზმა.

— რატომ ის არ მოვიდა ჩემთან?

— იმიტომ-რომ თვისდა საუბედუროდ თქვენი ჭირი წაიღო.

— ძალიან მეწყინა, ძალიან! თქვენ რას დამჯერდებით ერთს წყვილს წაღებში?

— თვრამეტს ფრანკსა.

— დიდი ფულია!

— თქვენს დიდებულებას მეტიც რომ გამოვართვა, ცოდვა არ იქნება.

იმპერატორს გაეცინა ამ უსუსურობის პასუხზედ და ხმა მაღლა ჩაიხარხარა. ხარაზს აქ კი სრულებით დაებნია გონება შიშისა და რიდისაგან, შლიაპა აიღო, იღლიას ქვეშ ამოიდო და უნდოდა თუ არა ზომის აღებას შესდგომოდა, უცბად შლიაპა ძირს ჩამოვარდა და იატაკზედ გაგორდა. გამოუდგა საცოდავი დასაჭერად, ხმალი ფეხებში გამოედო და ლაზათიანად გაიშხლართა იატაკზედ. იმპერატორმა უფრო დიდი ხარხარი მოჰრთო. ბოლოს ზომა ისე აიღო ხარაზმა, რომ ჯერ შლიაპა დასდვა ერთს მხარეს, ხმალი მეორეს მხარეს.

— მეორედ თუ მოხვიდეთ ჩემთან, უხმლოდ მოდით: არა შეჯდა მწყერი ხესა, არა იყო გვარი მისი, უბძანა იმპერატორმა. — ესეც გახსოვდეთ, ერთს წყვილ წაღაში თვრამეტს ფრანკზედ მეტს მე ვერ მოგცემთ.

დეპეშა

3 თებერვალი

ვენა. ავსტრიის რეიხსტაგის დეპუტატთა პალატას სთხოვენ, რომ გადასდოს 12 მილიონი ავსტრიის ლანდვერისა და ლანდშტურმის აღკაზმა-დარაზმულობისათვის.

პეშტი. ვენგრიის სეიმის დეპუტატთა პალატას წარუდგინეს კანონპროექტი და სთხოვენ 7,460,000 მონვედებისა და ლანდშტურმის პირველ მოწოდებულთათვის სხვა-და-სხვა სამხედრო საგნების დასამზადებლად.

რომი. დეპრეტისს საბოლოოდა სთხოვა მეფემ, ახალი სამინისტრო შეადგინე რობილანთან ერთადაო.

4 თებერვალს.

პეტერბურგი. დღეს სამხედრო სასახლის წინ დაათვალიერა ჯარები მისმა უდიდებულესობამ.

სტამბოლი. პორტა და ბოლგარიის დელეგატები მორიგდნენ სარეგენტოს თაობაზედ. სარეგენტოს წევრნი უნდა იყვნენ: სტამბულოვი, ცანკოვი და მესამე კიდევ ისეთი, რომელიც არც ერთს დასს არ ეკუთვნოდეს. გადასწყვიტეს აგრეთვე, რომ ახალი სამხედრო მინისტრი დაინიშნოს.

პეტერბურგის ბირჟა, 3-ს თებერვალს

ფასები:

	მსყიდველისა	გამსყიდველისა	გარიგებულისა
	მან. კ.	მან. კ.	მან. კ.
ხუთ-მანათიანი ოქრო .	— ›	— ›	9 10
ტამოჟნის კუპონები . .	— ›	— ›	176½
5% პირველის შინაურის სესხმის მომგები ბილეთი	— ›	— ›	237 »
— მეორისა	— ›	— ›	229¼
გირავნობის ფურცელნი:			
ტფილისის ბანკისა . . .	— ›	— ›	— ›
ქუთაისის ბანკისა . . .	— ›	— ›	— ›
ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა.	— ›	— ›	— ›

„ივერიის" ფოსტა

„ნაცნობს". თქვენს წერილს არა ვბეჭდავთ, რადგან პანიუტინის და ლაზარევის შორის „დუელის" ამბავი ვრცლად და დაწვრილებით იყო მოთხრობილი პეტერბურგის გაზეთებში და თქვენი წერილი ახალს არაფერს გვეუბნება. გარდა ამისა, ვერ გაგვიგია, რას უსაყვედურებთ „დროებით პეტერბურგელს" და ან რა მიზეზით სწამებთ, რომ ვითომ „დუელის" ამბავი სწორედ არ გადმოუციაო. დროებით პეტერბურგელმა მარტო მიზეზი დუელისა და სასამართლოს გარდაწყვეტილება მოიწერა და ხმაც არ ამოუღია იმაზე თუ, როგორ მოხდა დუელი.

„ანბანით ქების" ავტორს. რა დროს ანბანით ქებაა და მერე მაგისთანა ლექსებით. ნეტავი თქვენ, რომ მოგიცლიათ და სწერთ. აბა რასა ჰგავს:

ან ალვად ხარ ტანადობრივ,
ბან ბულბულს მიგიგავს ენა... და სხვანი

აფსუს ანბანავ, რომ ამისთანა ლექსების წერაზე იხარჯები! ანბანის მომგონს რომ ეს ჰგონებოდა, ხომ არც კი მოიგონებდა.

ს—ში, პ. ღ—ს. ვწუხვართ! ნუ დაივიწყებთ ერთს ანდაზას:

ნუ დააგდებ ძველსა გზასა,
ნურცა ძველსა მეგობარსა?..
„არამცა დასცდე საქმეთა
მეხთალთა მოცდუნებითა".

ესეც იცოდეთ, რომ

გემოვან საჭმელს თან ახლავს
კბილისა მოსაჭრელია.

ესეც გულში ჩასაჭდევია:

გზასა რომელსა ხვიდოდე,
წინ დაიხედე!...

საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქეთ ჩყპზ (1887) წელიწადია.
ქვეყნის შექნიდამ **7395**.
ძველი ინდიქტიონი მე-14,
ამისი ქრონიკონი—უოთ=479 წლისა. დაიწყო 408 წ. და თავდება 1940 წ.
ახალი ინდიქტიონი მე-4,
ამისი ქრონიკონი—მგ=43 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.
1887 წლის ზედ-ნადები—14.

ყველიერი მოდის 9 თებერვალს.

დიდმარხვა—16 თებერვალს, აღდგომა—5 აპრილს, ამაღლება 14 მაისს, სულის წმიდის მოსვლა 24, 25, პეტრე-პავლეს მარხვა 1 ივნისს. ეს მარხვა 1887 წელს 4 კვირით არის.

თებერვალი 28 დღით არის

5 დღე ხუთშაბათი. წმ. ქალწ. მოწ. აღაპიასი და თეოდულესი. კათოლ. აღათიასი. სომეხ. წმ. ვოსკიანთა. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—14. ტფილისში მზე ამოდის 6—52, ჩადის 5—36.

6 დღე პარასკევი ღირს. ვუკოლე ეპისკ. კათოლ. დოროთეოსისა. სომეხ. მარხვაა. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—14. ტფილისში მზე ამოდის 6—50, ჩადის 5—37. მთვარე 25 დღისაა.

გამოსადეგი ცნობანი
ნიხრი

1 თებერვლიდამ 1 მარტამდე.

თეთრი პური რუსული 1 გირ.	5 კაპ.
წითელი პური 1-ის ხარისხისა .	3 »
› 2 ›	2½ ›
თონის წითელი პური 1-ის ხარის.	5 ›
› › 2—	3½ ›
› › 3 ›	3 ›
ჯვარის მამის პურის ლავაში	
1-ლის ხარისხისა . .	5 ›
მე-2 ხარისხისა . .	4 ›
მე-3 — . . .	3½ ›
ძროხის ხორცი 1-ლის ხარისხისა.	8 ›
› 2 ›	7 ›
სუკი. . . .	14 ›
ცხვრის ხორცი . . .	9 ›
ღორის ხორცი 1-ის ხარისხისა.	8 ›
› 2 ›	7 ›

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ.

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და ყირიმში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, სამზღვარ გარედ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (ყირიმსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით, იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემს

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლიისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ ბათუმის სააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთსადგურებიდამ გადაწყვეტილის ვადაზე გემები

კვირაობით, საღამოზე და სამშაბათს ბათუმისკენ მიდიან, რაკი თავის საქმეებს გაათავებენ. მერე ბათუმიდამ პარასკევობით მიდიან ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურებისკენ, ხოლო თუ საჭიროა ფოთშიაც შეივლიან ხოლმე.

რუსეთის სანაოსნო საზოგადოების სააგენტო იმყოფება სასახლის ქუჩაზე, არწრუნისეულს ქარვასლაში, № 101.

ОТКРЫТА ПОДПИСКА НА 1887 Г.
НА
„БИРЖЕВЫЯ ВѢДОМОСТИ“
Большую ежедневную газету политики, финансовъ, торговли и общественной жизни.

Открывая подписку на новый 1887 годъ, мы съ полнымъ основаніемъ можемъ указать на то громадное развитіе, которому подверглись въ текущемъ году всѣ отдѣлы газеты, вступающей въ XI годъ своего существованія.

Если въ первые семь лѣтъ газета съумѣла постепенно преобразиться изъ еженедѣльнаго спеціальнаго финансоваго журнала въ большую ежедневную политическую, общественную и литературную газету, при этомъ не только сохраняя, но расширяя и пополняя съ каждымъ годомъ все больше и больше свои спеціальные финансовый, биржевой и торговый отдѣлы, составляющіе по прежнему основу и главный пунктъ опоры газеты, то этимъ „Биржевыя Вѣдомости“ доказали не только крупную пользу своего изданія, но что изданіе не останавливается на полпути, что оно растетъ и не перестаетъ идти впередъ съ каждымъ годомъ, будучи поддерживаемо нравственной связью, выработавшейся въ силу опыта лѣтъ между читателемъ и редакціею.

Приступая нынѣ къ открытію подписки на „Биржевыя Вѣдомости“ на будущій годъ мы ограничимся указаніемъ того, что сдѣлано нами въ текущемъ году для пополненія и дальнѣйшаго расширенія нашей газеты.

I. Въ политическомъ отдѣлѣ: введена ночная работа, благодаря которой свѣдѣнія, появляющіяся въ „Биржевыхъ Вѣдомостяхъ“ въ видѣ „вопросовъ дня“ настолько свѣжія и объясняющія данное положеніе минуты, что онѣ выдерживаютъ смѣло сравненіе съ такъ называемыми спеціальными телеграммами нѣкоторыхъ газетъ.

II. Введены ежедневныя бесѣды съ читателемъ по вопросамъ общественнымъ, литературнымъ, житейскимъ, уголовнымъ. Первая изъ нихъ: „Вчера, сегодня, завтра“ болѣе серьезная: вторая: „картинки и наброски“, скорѣе съ юмористическимъ оттѣнкомъ. Источникомъ для очерковъ служитъ и здѣсь и тамъ исключительно русская жизнь

III. хроника расширена включеніемъ въ ея составъ, сверхъ петербургскихъ и административныхъ извѣстій, также и сообщеній о происшествіяхъ, курьезахъ и случаяхъ, мѣстомъ которыхъ является Москва или провинція. Отдѣлъ этотъ ведется живо и полно.

IV. Сверхъ внутреннихъ корреспонденцій, которыя получаются теперь редакціей изъ большинства городовъ Россіи, введены во главѣ внутренняго отдѣла „Биржевыхъ Вѣдомостей“, — ежедневные провинціальные очерки, въ которыхъ группируются частію въ серьезной, частію въ фельетонной формѣ, всѣ явленія провинціальной жизни, по губерніямъ и областямъ, такъ что получается не только полная картина народной и общественной дѣятельности въ той или въ другой части края, но и вѣрная и поучительная картина всего того, что дѣлается въ Россіи.

Введя у себя ежедневные провинціальные очерки, „Биржевыя Вѣдомости“ исходили изъ той точки зрѣнія, что онѣ этимъ путемъ создадутъ новую, еще болѣе крѣпкую, связь между редакціей и читателемъ въ провинціи, имѣющимъ полное право требовать, чтобы газета не ограничивалась разрабатываніемъ однихъ только столичныхъ вопросовъ, но удѣляла соотвѣтственное мѣсто и провинціи.

V. Фельетоны газеты разнообразны. Сверхъ еженедѣльнаго воскреснаго литературнаго и театральнаго фельетоновъ, помѣщаются лучшіе романы русскихъ и заграничныхъ авторовъ. Въ Январѣ будущаго года приступимъ къ печатанію капитальнаго произведенія

„КУРСИСТКА“

романа въ 2-хъ частяхъ изъ жизни недавняго прошлаго. Романъ этотъ, представляющій собою высоко-художественное произведеніе, уже вполнѣ законченъ и находится въ портфелѣ редакціи. Его громадный успѣхъ среди читателей несомнѣненъ.

Желая предоставить каждому возможность познакомиться поближе съ изданіемъ „Биржевыхъ Вѣдомостей“, контора редакціи изъявляетъ согласіе принимать въ Ноябрѣ и Декабрѣ въ видѣ исключенія подписку на одно недѣлю. Приславшему въ контору 50 к. деньгами или почтовыми марками, газета будетъ высылаться наравнѣ съ другими подписчиками въ теченіе 7 дней не подъ марками, а непосредственной почтовой отправкой.

Подписывающіеся же на газету на весь 1887 г. и адресующія деньги прямо въ контору „Биржевыхъ Вѣдомостей“ пользуются правомъ полученія газеты безплатно въ остающееся еще время 1886 года.

ПОДПИСНАЯ ЦѢНА ВЪ РОССІИ:

Съ доставкою и пересылкою:	р.	к.
На годъ — — — — — — —	15	—
— 11 мѣсяцевъ — — — — —	14	—
— 10 — — — — — — —	13	—
— 9 — — — — — — —	12	—
— 8 — — — — — — —	11	—
— 7 — — — — — — —	10	—
— 6 — — — — — — —	9	—
— 5 — — — — — — —	8	—
— 4 — — — — — — —	7	—
— 3 — — — — — — —	5	50
— 2 — — — — — — —	4	—
— 1 — — — — — — —	2	—

ПОДПИСНАЯ ЦѢНА ЗА ГРАНИЦУ:

	р.	к.
На годъ — — — — — — —	22	—
— 6 мѣсяцевъ — — — — —	13	—
— 3 — — — — — — —	8	—
— 1 — — — — — — —	3	—

ПУБЛИКАЦИИ
Въ „биржевыхъ вѣдомостяхъ“
получаютъ самое широкое распространеніе въ состоятельныхъ слояхъ общества и по этому особенно полезны въ тѣхъ случаяхъ, гдѣ имѣется въ виду заинтересовать въ публикаціи лица, обладающія хорошими денежными средствами.

Подписка принимается на всѣ сроки не иначе, какъ съ 1-го числа каждаго мѣсяца, въ С.-Петербургѣ: въ конторѣ редакціи, Б. Морская, 31, рядомъ съ Яхтъ-Клубомъ. (3—3)

ОТКРЫТА ПОДПИСКА
НА 1887 ГОДЪ
НА ЛИТЕРАТУРНО-ПОЛИТИЧЕСКУЮ ГАЗЕТУ
„НОВОЕ ОБОЗРѢНІЕ“
(IV годъ изданія)
Выходитъ ежедневно, въ ТИФЛИСѢ, подъ редакціей А. В. Степанова.
ПОДПИСНАЯ ЦѢНА: за годъ 10 р., за полгода 6 р., за 3 мѣсяца 3 р. 50 к. и за мѣсяцъ 1 р. 50 к.
Подписка принимается и гг. иногородные адресуются: *Тифлисъ, контора редакціи „Новое Обозрѣнія“, Головинскій проспектъ, домъ № 7.* (3—3)

ОТКРЫТА ПОДПИСКА
На ежедневную литературно-политическую газету
„КАВКАЗЪ“.
Въ 1887 году газета „Кавказъ“ будетъ выходить подъ прежнею редакціею и по прежней программѣ, ежедневно, не исключая и понедѣльниковъ.
ПОДПИСНАЯ ЦѢНА:
СЪ ПЕРЕСЫЛКОЮ:

Съ доставкою въ Тифлисъ.		По Имперіи.		По почтовому союзу.	
На годъ . .	11 р. 50 к.	На годъ . .	13 р. — к.	На годъ . .	18 р. 40 к
„ ½ . .	6 „ — „	„ ½ года .	7 „ — „	„ ½ года, .	10 р. — ,
„ 3 мѣсяца	3 „ 50 „	„ 3 мѣсяца.	4 „ — „	„ 3 мѣсяца.	6 „ — „
„ 1 мѣсяцъ	1 „ 50 „	„ 1 мѣсяцъ.	1 „ 75 „	„ 1 мѣсяцъ.	2 „ — „

Подписка принимается **исключительно въ конторѣ редакціи, Тифлисъ**, уголъ Головинскаго проспекта и Барятинской улицы, домъ Ротинова. Для иногородныхъ адресовать: **Тифлисъ**, въ редакцію газеты „Кавказъ“. (7—7)

Д в. ц. 13. Тиф. 4 февраля, 1887 г. Типографія „Кавказское Обозрѣніе“ (Н. И. Френкель) Караванъ-Сарай Земельнаго Банка. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე